

ლუკაშენკო Forever ?!

ავტორი გიორგი კანაშვილი



26 წელია, რაც ალექსანდრე ლუკაშენკო ბელარუსის პრეზიდენტია. 9 აგვისტოს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებშიც, სწორედ ის გამოცხადდა გამარჯვებულად, ხმათა „სულ რაღაც“ 80 პროცენტით. თუმცა, არჩევნებს, ამჯერად დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა: არნახული მასშტაბის მიტინგები, დარბევები,

რამოდენიმე ასეულმა ადამიანმა სხეულის მნიშვნელოვანი დაზიანებები მიიღო (არის ერთი გარდაცვლილიც), 5-დან 7 ათასამდე პროტესტანტი დაკავებულია, ხოლო ოპოზიციის ლიდერი - სვეტლანა ტიხონოვსკაია, ძალოვნებმა ლიტვაში გააძევეს.

ამ ეტაპზე, თითქმის შეუძლებელია იმის დაზუსტებით თქმა, თუ რა მოხდება ხვალ; მაგრამ არეულობის ოთხი დღის თავზე, საპროტესტო მუხტმა მოიკლო და იქმნება გაცნდა, რომ ის რაც მოხდა თუნდაც სომხეთში შეუძლებელია ბელარუსში. ამ მცირე ტექსტში, შევეცდები ავხსნა, თუ რატომაა ლუკაშენკო დღემდე „უძლეველი“.



თანმიმდევრული მოძალადე

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ - ორჭოფობა, ბორძიკი, ჭმუნვა (რაც ახასიათებდა მაგალითად იანუკოვიჩსა და სარგისიანს), რეჟიმს ძვირად უჯდება. იწყება მთავრობის შიგნით ფრაგმენტაცია, შეცდომების დაშვება, განსაკუთრებულად მარიფათიანთა მოწინააღმდეგე გუნდში გადაბარგება, რაც საბოლოო ჯამში რეჟიმის რღვევით სრულდება. არ ვარ დარწმუნებული, რომ „ბატკას“ აკადემიური ტექსტების კითხვით გაეწყალებინოს თვალები; მიუხედავად ამისა, იგი იქცევა ისე, როგორც „უნდა“ მოიქცეს ავტორიტარი. შეცდომები ლუკაშენკოს არასოდეს დაუშვია -



ნებისმიერი წინააღმდეგობა მყისიერად ისჯებოდა, მიტინგები, მათ შორის მრავალრიცხოვანი, განსაკუთრებული სისასტიკით იშლებოდა. საკუთარ სტილის ის არც ამჯერად ღალატობს.

ამასთანავე, მმართველობის 26 წლის განმავლობაში, ლუკაშენკოს კარზე არავინ ისე არ აღუზევებია, რომ მასთან კონკურენცია თავში გაევილო; ვინც ოდნავ, მაინც შეფიქრიანდა - თავი ციხეში ამოყო. ანუ იგი, რეჟიმის/გუნდის შიგნით პოტენციურ კონკურენტებს, ყოველთვის დროულად იშორებდა; შესაბამისად, ალტერნატიული ცენტრის შექმნის ალბათობას იმთავითვე სპობდა.

მესამე კომპონენტი - ძალოვანი სტრუქტურებია. აქაც, სულ მცირე დღემდე, სრული მონოლითია; ჯერ კიდევ, „კარიერის“ დასაწყისში, ლუკაშენკო აქტიურად იყენებდა ძალოვანებს და ისინი, მის დავალებებს ყოველთვის პირნათლად ასრულებდნენ. ეტაპობრივად, ლუკაშენკომ ამ სტრუქტურების სრული ლოიალურობა მოიპოვა, მათ შორის საკმაოდ კარგი სოციალური პაკეტისა და საზოგადოებაში პრივილეგირებული სტატუსის შეთავაზების გზით. შესაბამისად, თითქოსდა, ამ მიმართულებითაც მას არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

გათითოკაცებული ოპოზიცია

ბელარუსში, ყველაფერი რაც ოპოზიციურია - იღვენება; და ესე ხდება, როგორც უკვე აღვნიშნე, 26 წელია. ასეთ პირობებში, პარტიებს უჭირთ; თუ კიდევ უფრო გარკვევით ვიტყვით - ასეთ პირობებში, პარტიები ძირითადად ვერ ყალიბდებიან. შესაბამისად, დღეს ლუკაშენკოს სისტემური ოპოზიცია არ ჰყავს (ვგულისხმობ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, მეტნაკლებად განვითარებული პარტიული სტრუქტურებით).

ავიღოთ, თუნდაც ოპოზიციის დღევანდელი ლიდერი - სვეტლანა ტიხონოვსკაია. ვინ არის ის? სვეტლანა ცნობილი ბლოგერის ცოლია, რომელიც ოპოზიციური



მოძრაობის სათავეში მხოლოდ იმიტომ აღმოჩნდა, რომ მისი მეუღლე დააპატიმრეს. სვეტლანას და ოპოზიციის სხვა ლიდერებს, პარტიული სტრუქტურები ზურგს არ უმაგრებს - ყველაფერი მათ პირად ავტორიტეტზე დგას; შესაბამისად,

ლუკაშენკოს არა მინი სისტემების (ვგულისხმობ პარტიებს) კრებულთან უწევს ბრძოლა, არამედ ცალკეულ ინდივიდებთან; „გატეხე“ კაცი, ამ შემთხვევაში ქალი და პრინციპში მოგებული ხარ. ამიტომაცაა, რომ იმავე სომხეთისგან, ან უკრაინისგან განსხვავებით, სადაც მიტინგებს გარკვეული ცენტრალიზებული სახე ჰქონდა - თავისი „გენერლებითა“ და „ჯარისკაცებით“, ბელარუსის პირობებში ყველა „ჯარისკაცია“ და მიტინგებსაც ბევრად სპორადული, ქაოსური სახე აქვს.

ამასთანავე, იმავე უკრაინის, საქართველოს, სომხეთისა და მოლდოვის შემთხვევებისგან განსხვავებით, ოპოზიციურ ძალებს არც მძლავრი მედია ჰოლდინგები უმაგრებთ ზურგს, და არც ცალკეული ოპოზიციურად განწყობილი ბიზნეს ელიტები (ან ოლიგარქები). „ქალაქში“ ერთადერთი ოლიგარქი, თვითონ ლუკაშენკოა. მორჩა და გათავდა.

ბელარუსს საბჭოეთიდან გამოსული სხვა ქვეყნებისგან, კიდევ ერთი და არცთუ უმნიშვნელო, მახასიათებელი განასხვავებს: სოციალურ-ეკონომიკური ფონი. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ბოლო ათი წელია ბელარუსის ეკონომიკა სტაგნაციას განიცდის, ბელარუსები დღემდე უკეთ ცხოვრობენ ვიდრე უკრაინელები, ქართველები, სომხები, თუ მოლდოველები. სოციალური უთანასწორობაც, მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის არცთუ დიდია. მართალია, ლუკაშენკო ვერა და ვერ დაეწია ლიტვას, მაგრამ საკუთარ მოქალაქეებს ამაყი, თავისუფალი, მაგრამ ბევრად ღარიბი უკრაინის პერსპექტივით საკმაოდ წარმატებით აშინებდა. ქაოსისა და რუსეთთან შესაძლო კონფრონტაციის არგუმენტი (ისევ და ისევ უკრაინის მაგალითის მოშველიებით), რეჟიმის მიერ, ოპოზიციის წინააღმდეგ, დღესაც აქტიურად გამოიყენება.


რუსეთი-დასავლეთის წინააღმდეგობები

საპრეზიდენტო არჩევნებში მოგება, ერთერთმა პირველებმა, ლუკაშენკოს ვლადიმერ პუტინმა და ჩინეთის პრეზიდენტმა ში ძიანპინგმა მიულოცეს.

საქმე იმაშია, რომ ბოლო წლებია, მოკავშირე ქვეყნებს შორის ურთიერთობები „მოკავშირულ სულისკვეთებას“ სულ უფრო შორდებოდა. უკრაინის მოვლენებით შეფიქრიანებული ლუკაშენკო, საკუთარ

ტერიტორიაზე რუსეთის დამატებითი სამხედრო ობიექტების განთავსებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა; შედეგად რუსეთმა ბელორუსთან მიმართებაში გაზისა და ნავთობის სატარიფო პოლიტიკას გადახედა. ეს ყოველივე კი, მოსკოვსა და მინსკს შორის მუდმივი ურთიერთბრალდებებისა და კინკლაობის მიზეზად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ლუკაშენკო არაკომფორტული პარტნიორია, მინსკში განვითარებული არეულობის ფონზე, რუსული სამთავრობო მედია დასავლეთის



პროვოკაციებზე და უკრაინული „მაიდანის“ შუქ-ჩრდილებზე ალაპარაკდა. რაც



პუტინის ნაძაღვევი მილოცვის ფონზე, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მოსკოვს ბელარუსში მეორე „ფაშინიანს“, ისევ „ევროპის ბოლო დიქტატორი“ ურჩევნია.

რატომ შეუძლია სომხეთს ჰყავდეს ფაშინიანი, ხოლო ბელარუსს არა?! პასუხი

არცთუ რთულია: ერევანის ევროპულ გზაზე შედგომას, ყარაბაღის კონფლიქტი ხდის შეუძლებლად; ხოლო ბელარუსს „გამოკლებული“ ლუკაშენკო, ყველანაირი „ყარაბაღების“ გარეშე, ევროკავშირის წევრობის პოტენციული პრეტენდენტია.

დასავლეთში მინსკისთვის სანქციების დაწესების შესაძლებლობაზე უკვე საუბრობენ; ამგვარი ინიციატივით ვარშავა გამოვიდა; თუმცა არსებობს რიგი ნიუანსებისა, რომლენიც დასავლეთისთვის სანქციებისადმი ენთუზიაზმს გარკვეულწილად ანელებს. ზოგადი მოუცლევლობის გარდა პანდემია, ეკონომიკური სირთულეები, დაუსრულებელი ბრექსიტი და ა.შ.), დასავლეთს ჯერ უკრაინული „ტრამვა“ ვერ მოუშუშებია და საკუთარ საზღვრებზე არეულობის ახალ კერას, ისევ მყიფე სიმშვიდესა და შეჩვეულ „ჭირს“ არჩევს.

თითქმის 5 წელია, ბრიუსელიცა და ვაშინგტონიც მინსკთან ურთიერთობების „გაღობის“ პროცესში იმყოფებიან; მსუბუქმა „ფლირტმა“ გარკვეული შედეგებიც მოიტანა: ბოლო დრომდე, ითვლებოდა, რომ მინსკს პოლიტპატიმრები აღარ ჰყავდა; მედიაზე და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, წნეხი ოდნავ, მაგრამ მაინც შესუსტდა; გამარტივდა ევროპელებისთვის ბელარუსში მოხვედრა და ა.შ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, თუ მინსკი საკუთარ მოქალაქეებზე ძალადობას შეწყვეტს, დიდი ალბათობით დასავლეთს ფრიად დაენანება ხუთი წლის შრომის წყალში ჩაყრა.

ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში რუსეთ-დასავლეთის წინააღმდეგობები, ლუკაშენკოს რეჟიმის „ერთგულ მოკავშირედ“ რჩება და შესაძლოა, ამ მხრივ არც არაფერი შეიცვალოს.

დასკვნის მაგიერ

ყოველივე ზემოთ
თქმულს, იმ დასკვნასთან
მივყავართ, რომ „ბატკა“
ამჯერადაც უძლეველი
დარჩება: ლუკაშენკოს
ძალისმიერი გადაგდება
აშინებს რუსეთს, დასავლეთი



ქმედითი ნაბიჯებისთვის არაა მზად, რეჟიმს „ჩამოშლის“ არაფერი ეტყობა, სვეტლანა ტიხონოვსკაია ქვეყნიდან გაძევებულია, საპროტესტო მუხტი თითქოსდა ქვემოთ მოდის...

თუმცა, ამგვარი რეჟიმების რეალური მედეგობის განსაზღვრა, მათი გაუმჭირვალე ბუნებიდან გამომდინარე, ფრიად რთულია; ის რაც დღეს მონოლითად ჩანს, ხვალ შეიძლება თიხის ფეხებიანი კოლოსი აღმოჩნდეს - ასე მომხდარა ბევრგან, მათ შორის იმ ქვეყანაშიც, საიდანაც საკუთრივ დღევანდელი ბელარუსი ამოიზარდა. ამიტომ დაველოდოთ ხვალინდელ დღეს...

